Conflict Resolution and Peacebuilding Historical Archive of Georgia, by ICCN

საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი 2008 წ.

http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1329&info_id=21604

ქართული შრიფტი

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისის ხელმძღვანელობა:

დავითაია პაატა - თავმჯდომარე

წევრები

1. **გაბაშვილი გიორგი**
2. **გოგორიშვილი ხათუნა**
3. **გოგუაძე გია**
4. **ვეფხვაძე ლევანი**
5. **თარგამაძე გიორგი (გივი)**
6. **თედორაძე რამაზი**
7. **ლალიაშვილი ნიკოლოზი**
8. **ლორთქიფანიძე დიმიტრი**
9. **მინაშვილი აკაკი**

2008-11-24 20:18

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის 2008 წლის 24 ნოემბრის სხდომის სტენოგრამა

I ნაწილი

(ეკონომიკური განვითარების მინისტრი ეკატერინე შარაშიძე)

2008-11-24 20:18

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის 2008 წლის 24 ნოემბრის სხდომის სტენოგრამა

სხდომას თავმჯდომარეობს დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე პ. დავითაია

თავმჯდომარე. მოგესალმებით ყველას. დიდი მადლობა მინდა მოვუხადო ქალბატონ ეკას მობრძანებისთვის. როგორც ცნობილი არის პარლამენტის დადგენილებით შექმნილია დროებითი საპარლამენტო კომისია, რომელიც შეისწავლის აგვისტოს მოვლენებს, კერძოდ, იმ ვითარებას, რაც მოხდა რუსული აგრესიის შედეგად საქართველოში. აქედან გამომდინარე, ქალბატონო მინისტრო, თქვენ მზად ხართ თუ არა ითანამშრომლოთ დროებით საპარლამენტო კომისიასთან და თქვენი კომპეტენციის ფარგლებში მოგვაწოდოთ ის ინფორმაცია, რასაც თქვენ ფლობთ.

ე.შარაშიძე. რა თქმა უნდა, დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ კომისიას. რაიმე საკითხები, შეკითხვები თუ იქნება დასმული, მე მზად ვარ, რომ ყველაფერს ვუპასუხო იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რომელიც მოხდა აგვისტოს შუა რიცხვებში.

თავმჯდომარე. ჩვენი მუშაობის სტილი არის. რამოდენიმე შეკითხვა იქნება დასმული. თქვენ ... მერე დაალაგებთ, გასცემთ პასუხს და თუ არა დამატებითი შეკითხვები იქნება გაცემული. როგორც ცნობილი არის აგვისტოს მოვლენებამდე საქართველოში სიტუაცია იძაბებოდა, იძაბებოდა აგრესორი ქვეყნის მხრიდან ... საუბარია რუსეთის ფედერაციაზე, აგრეთვე სეპარატისტული რეჟიმების მხრიდან და ცალსახად ჩანდა, რომ მოხდებოდა სიტუაციის ესკალაცია. ჩვენ გამოვკითხეთ ბევრი თანამდებობის

პირი, მათ მოგვაწოდეს გარკვეული ინფორმაციები, გამოჩნდა გარკვეული ხარვეზები სხვადასხვა მიმართულებით ჩვენთვის. კომისიას აინტერესებს ეკონომიკის სამინისტრო ასეა თუ ისეა, როგორ ხედავდა სიტუაციის დაძაბვას და რეალურად ხედავდა, თუ როგორ ხდებოდა, როგორ იწყებოდა აგრესია, რაიმე შემუშავებული ჰქონდათ თუ არა რაიმე გეგმა იმ მიმართულებით თუ მოვლენების ესკალაციის შემთხვევაში, რა ქმედებები უნდა გაეტარებინა ეკონომიკის სამინისტროს. აქ ასევე და იმ კომპეტენციის ფარგლებში, რა კომპეტენციაც გააჩნია სამინისტროს დაწყებული ... წყაროებით და დამთავრებული, ვთქვათ, ეკონომიკის სტაბილიზაციიდან გამომდინარე. გარკვეული პასუხი ამ შეკითხვებზე ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბატონმა,ლადო გურგენიძემ ჩვენ გაგვცა და ვიცით, თუ როგორ მუშაობდა ... ჯგუფი ამ მიმართულებით. აი ეს მიმართულებები, ვთქვათ, რაიმე გეგმა გქონდათ თუ არა შემუშავებული ეკონომიკის სამინისტროს და ეკონომიკის მინისტრი, რომელ ჯგუფში იყო, სად, აი ამ სიტუაციაში, ამ მმართველობის პერიოდში როცა წყდებოდა ესკალაცია კონფლიქტის.

დ.ლორთქიფანიძე. ქალბატონო ეკატერინე, ამავე დროს მინდა დაგისვათ შეკითხვა, რა ინფორმაციას ფლობთ საგანგებო სიტუაციათა მართვის სამთავრობო კომისიის შესახებ და კონკრეტულად იცით თუ არა, რა როლი ენიჭება ამ კომისიის მუშაობაში ეკონომიკის მინისტრს. გმადლობთ.

გ.გაბაშვილი. ქალბატონო ეკა, ჩვენ ვიცით რუსული აგრესიის პერიოდში ხდებოდა როგორც, ვთქვათ, სახმელეთო ჯარების მიერ ,ასევე საავიაციო დაბომბვების შედეგად მნიშვნელოვანი დაზიანება ინფრასტრუქტურისა. ჩვენ გვექნება კიდევ შეხვედრა თავდაცვის მინისტრთან და თავდაცვის სფეროში მოვისმინეთ ამის შესახებ ინფორმაცი. რაც შეეხება სამოქალაქო ინფრასტრუქტურას, არის თუ არა ბოლომდე შეფასებული ეს ზარალი და თვითონ აი ამ ზარალის ფიზიკურად განადგურებული ინფრასტრუქტურის აღმოფხვრის სამუშაოები,მიმდინარეობს თუ არა და რა ნაწილებში არის დასრულებული და ამ მხრივ ,რა ვითარებაა, ვთქვათ, გზებზე, ხიდებზე, კომუნიკაციებზე და სხვადასხვა სამოქალაქო დანიშნულების შენობებზე.

ე.შარაშიძე. პირველ რიგში, კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ. მინდა დავიწყო იმით, რომ ის დღეები და ის სიტუაცია, რაც გადავიტანეთ აგვისტოს შუა რიცხვებში, რა თქმა უნდა, ყველასთვის იმ მასშტაბით იყო წარმოუდგენელი, რაც არ უნდა მზადება ყოფილიყო და რაც არ უნდა,... ყველა ჩართული ვიყავით ამ მზადების პროცესში და ვიცოდით, რომ ესკალაცია, რა თქმა უნდა, ხდებოდა, ამ მასშტაბებით, მე არა მგონია, რომ ვინმეს წარმოედგინა, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო. ამისდა მიუხედავად, მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოს ეკონომიკა და მე მგონი, ეს ყველასთვის თვალსაჩინო იყო, აღმოჩნდა ბევრად უფრო სტაბილური, ბევრად უფრო მდგრადი, ვიდრე ჩვენც კი წარმოგვედგინა და ის კოორდინაციის მექანიზმები, ლოჯისტიკური იქნებოდა თუ ინფრასტრუქტურის მდგრადობა, აღმოჩნდა ბევრად უფრო მყარი, საკმაოდ მყარი იმისთვის, რომ იმ პირობებში და იმ უძნელესი პირობების დროს და იმ წნეხის ქვეშ, რომლის ქვეშაც საქართველოს სახელმწიფო აღმოჩნდა ამან ყველაფერმა გაუძლო.

რაც შეეხება კონკრეტულ სიტუაციებს. თქვენ მკითხეთ, რომ სიტუაცია იძაბებოდა, ესკალაცია ხდებოდა. რამდენად საქმის კურსში იყო ეკონომიკის სამინისტრო და რას აკეთებდა ამისთვის. რა თქმა უნდა, ჩვენ როგორც სხვა ყველა უწყება ვიყავით ჩართული ამ სიტუაციაში, ვიცოდით, რომ ხდებოდა ესკალაცია რუსეთის მხრიდან. ვიცოდით, რომ რაღაცნაირად რუსეთის მხარე ძაბავდა სიტუაციას . რა თქმა უნდა, ეს, რომ კონფლიქტის პირას მიგვიყვანდა აგვისტოში, ნამდვილად ჩვენ არ ვიცოდით. მაგრამ ამისდა მიუხედავად ხდებოდა ესე, რომ ჩვენ ეკონომიკის სამინისტროში, რა გავაკეთეთ და რა მოვალეობა იყო. თქვენ მკითხეთ, რომ რა ვალდებულებები აქვს ეკონომიკის მინისტრს საგანგებო სიტუაციების დროს. ეკონომიკის მინისტრის ვალდებულებებია, რომ განახორციელოს ინფრასტრუქტურაზე, ინფრასტრუქტურის გამართულობა ასეთი პირობების დროს. ეს შეეხება პორტებს, აეროპორტებს, გზებს, რკინიგზას და ა.შ. ზოგიერთი პორტი, როგორც იცით, არის კერძო მფლობელობაში. ასევე აეროპორტი არის კერძო მენეჯმენტში. მაგრამ ამისდა მიუხედავად ეკონომიკის სამინისტროს ვალდებულება არის, რომ ამ ყველა უწყებაზე განახორციელოს ზედამხედველობა რთული პერიოდის დროს, საგანგებო ვითარების დროს.

რაც შეეხება, რა მოხდა აგვისტოს თვეში. ზუსტად როგორც გვქონდა დაგეგმილი, მოხდა ჩვენს მიერ ყველანაირი კონტროლი ამ ორგანიზაციების, თქვენ იცით, რომ ფოთის პორტი, ფოთის პორტი იყო დიდი ზეწოლის ქვეშ, იყო დაბომბილი კიდევაც, სამწუხაროდ იყო მსხვერპლი 5 ადამიანი გარდაიცვალა, 10 დაზიანდა, ამავე დროს, ამავდროულად, მოხდა აეროპორტთან რამოდენიმე დაბომბვა, რკინიგზის დაბომბვა, გზები იყო დაბომბილი. ყველა ეს ობიექტი, რომელიც კი იყო დაბომბილი, მინდა გითხრათ, რომ სასწაული სისწრაფით ხდებოდა შეკეთება ამ ობიექტების, ბატონმა გოკამ მკითხა, რომ რა ობიექტები არის ამ დროისთვის შეკეთება, რა ობიექტების შეკეთება ხდება, ფაქტიურად ყველა მნიშვნელოვანი ობიექტი იმისთვის, რომ ტრანზიტი, ტრანსპორტი, ლოჯისტიკა გამართული ყოფილიყო, მოხდა მყისიერად. ...მათი აღდგენა მოხდა მყისიერად. იყო რკინიგზის ერთ-ერთი ხიდი ძალიან დაბომბილი და, შესაბამისად, საჭირო იყო, რაღაც პერიოდი ამ ხიდის სრულად აღსადგენად, დასჭირდა დაახლოებით თვე. მაგრამ მიუხედავად ამისა, რამოდენიმე დღის, 2 დღის

შემდეგ, შემოვლითი გზა იყო გაკეთებული და შევძელით რომ ყველანაირად ლოჯისტიკა აღვედგინა.

მე არ მინდა, რომ თავი მოგაწყინოთ და დეტალებში მოგიყვეთ ის, რასაც აკეთებდა ეკონომიკის სამინისტრო. თუმცა შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენ გვქონდა საათობრივი ინფორმაცია, ყოველ საათში მოდიოდა, ნუ, რა თქმა უნდა, ეს იყო განპირობებული იმისგან თუ რა ვითარება იყო. მაგრამ ყოველ საათში ჩვენ მოგვდიოდა ინფორმაცია და ნახევარ საათში და ან საათობრივად თუ რა ხდებოდა ყოველივე პორტში, რა გემი იდგა, რა ტვირთი იყო, ...ასევე ინფორმაცია აეროპორტებზე, რკინიგზაზე, და სხვა მიმართულებით. იმისთვის, რომ ყოფილიყო როგორც კოორდინაცია, ასევე იმისთვის, რომ არ შეწყვეტილიყო მომარაგება როგორც პროდუქტების, ასევე სხვა მნიშვნელოვანი სტრატეგიული პროდუქტების. ჩვენ ამავდროულად ვაკვირდებოდით, რომ არ მომხდარიყო ფასების ზრდა. მე შემიძლია გაჩვენოთ, რომ ყოველდღე ჩვენ ვუყურებდით, რომ ფასები, პროდუქცია, პროდუქტებზე არ გაზრდილიყო იმდენად, რომ შეუძლებელი იქნებოდა ჩვენი მოსახლეობისთვის, ამის, პროდუქციის, პროდუქტების ყიდვა.

ამავდროულად, ეკონომიკის სამინისტრომ სხვა უწყებებთან ერთად გასწია ძალიან დიდი შრომა და მე ლტოლვილებისთვის, პირველ რიგში, ჩვენ, თქვენ იცით, რომ დაახლოებით 9-ში, 10-ში ძალიან დიდი ნაკადი ლტოლვილების მოხდა ...თბილისში, ეკონომიკის სამინისტრომ, სასწრაფოდ, რაც კი ობიექტები გქონდა, გამოვყავით იმისთვის, რომ ლტოლვილებს შეძლებოდათ ამ ობიექტებში შესვლა, შესაბამისად და შემდეგ გამოვყავით კიდევ ადგილი, სადაც იქნებოდა კარვების განთავსება და ყველანაირად უზრუნველვყავით, რომ დენი, წყალი და ყველაფერი შესაძლებელი ყოფილიყო ამ ლტოვილებისთვის.

თავმჯდომარე. ქალბატონო ეკატერინე, თქვენ, როგორც ეკონომიკის მინისტრი ღებულობდით თუ არა ინფორმაციებს ძალოვანი ბლოკიდან? საუბარია, ეს იმაზე, რომ გარკვეულ აგრესიის დაწყებამდე გარკვეულ ეკონომიური ინტერესები გაჩნდა, რომ გარკვეულ წარმომადგენლობას, საუბარი არის, ვთქვათ, იგივე ენერგოსისტემაში ან სხვა სისტემაში ღებულობდით თუ არა ინფორმაციებს მოხსენებითი ბარათის სტილში, რომელიმე .....

ე.შარაშიძე. მე მოვუსმინე საგარეო დაზვერვის უფროსის განმარტებას, თქვენდამი, იქ არის უზუსტობა 2008 წლის მანძილზე არანაირი ენერგოპრივატიზაცია არ მომხდარა, რაც მას ჰქონდა მხედველობაში ერთ–ერთ კომპანიასთან ერთ–ერთი ენერგოსფეროში გარიგება კონკრეტულად ამ კომპანიაზე მე მგონი ამ წუთას არ ღირს საუბარი ან დახურული სხდომის...

თავმჯდომარე. არა, ქალბატონო ეკა, მე დავაზუსტებ. თქვენ ეტყობა ვერ გამიგეთ კითხვა. მე ვსაუბრობ ძალოვანი სტრუქტურებიდან ბატონ , ... გელა ბეჟუაშვილი, დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარე, დავუშვათ იგივე შინაგან საქმეთა მინისტრი, პირობითად ვსაუბრობ, ეხლა ამ ეტაპზე თუ ..... ინფორმაციას ბატონმა გელამ აღნიშნა, რომ ცალსახად მინდა ხაზი გავუსვა, რომ კონკრეტული ინფორმაციის, საუბარი არის ..... მე ჩავიკითხავ მის სიტყვებს მე ამას დაუსვი საკითხი, ჩემი კითხვა მდგომარეობდა იმაში ..... ესკალაცია მდგომარეობის და როდესაც დაზვერვის დეპარტამენტი ფლობდა ამა თუ იმ ინფორმაციას, ვის აწვდიდა ის ინფორმაციას და რატომ არ ჩატარდა მთავრობის სხდომა ისე, რომ კითხვის კონტექსტი არის, მან გასცა პასუხი ასეთი, რომ მე, უბრალოდ, მინდა ნამდვილად არ გავცე მათ პასუხი იმაზე. მაგრამ, ნუ, ეხლა ეს ვრცელდება მარტო ჩვენს კომპეტენციაში. თუმცა მე ვიხსენებ რამოდენიმე შემთხვევას. ეს არ ეხებოდა მთავრობის საქმიანობას. ეს ეხებოდა, მაგალითად, იმაზე, რაზეც, ჩვენ რეაგირება მოვახდინეთ და მთავრობას გავუგზავნეთ წერილი. ეს იყო ინფორმაცია კონკრეტული ინვესტორის შესახებ, რომელიც სტრატეგიის სექტორში აპირებდა ინვესტირების განხორციელებას და მისი, ასე ვთქვათ, ვინაიდან, საიდან მოდის ფული, ვინ არის ამ ფულის უკან. ეს რამოდენიმე ინფორმაცია, განსაკუთრებით ენერგეტიკულ სექტორზეა საუბარი, ჩვენს მიერ მიწოდებული იყო, კიდევ ვამბობ, ეს ინფორმაცია მომხმარებლისათვის და ეს მომხმარებელი იყო ეკონომიკის სამინისტრო და ენერგეტიკის სამინისტრო კონკრეტულად. ჩვენ დავუსვით კითხვა უშიშროების საბჭოს მდივანს ამ მიმართულებით. ბატონმა კახა ლომაიამ გასცა პასუხი , რომ ის ამ საკითხზე ფიქრობს, ამ საკითხს, ბატონმა პრემიერ მინისტრმა, ბატონმა ლადო გურგენიძემ თქვა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ეკონომიკის მინისტრი გაგვცემს პასუხს. ე.ი. აქედან გამომდინარე გისვამთ მე კითხვას.

ე.შარაშიძე. დიახ.

თავმჯდომარე. ვინ წერია, რა წერილიც თქვენ მოგწერათ დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ, რა სფეროს ეხება და რომელ კომპანიაზეა საუბარი. მინდა ცალსახად ხაზი გავუსვა, რომ კომპანიას დახურულ სხდომაზე ჩვენ ვერ განვიხილავთ იმიტომ, რომ ეს არის საჯარო ინფორმაცია. საჯარო ინფორმაციაზე ხდება პრივატიზაცია, დახურული პრივატიზაციები და ენერგეტიკის სფეროს ის .... ხდება. აქედან გამომდინარე, თქვენ

გთხოვთ, რომ გვიპასუხოთ თუ რომელ კომპანიაზეა საუბარი და რა, საერთოდ იყო თუ არა ეს ოპერაცია განხორციელებული?

ე.შარაშიძე. ე.ი, ჩემთვის როგორც არის ცნობილი, მაგიტომ მოგახსენებთ, რომ 200, ამ ბოლო წლის მანძილზე არანაირი ენერგოსექტორში არანაირი პრივატიზება არ მომხდარა. შესაბამისად, არც ერთ კომპანიას, რომელიც შეიძლება საეჭვო ყოფილიყო, არ მიუღია მონაწილეობა. რა თქმა უნდა, ჩვენ როდესაც ვაკეთებთ პრივატიზაციას რაიმე სტრატეგიული ობიექტისას, ჩვენ ვგულისხმობთ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვართ გახსნილი ეკონომიკა ჩვენ, რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ ამას. მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში და მაგალითი ის არის, რომ ამ პერიოდის მანძილზე ის პრივატიზაციები, რომელიც კი გაგვიკეთებია და ის კომპანიები, რომელიც საქართველოში არის შემოსული, ეს იქნება რუსული თუ სხვა ქვეყნების, არც ერთ კომპანიას არანაირი, არა მარტო ხარვეზი არ გამოუჩენია ომის პერიოდში, არამედ, შემიძლია ვთქვა, რომ ზოგიერთმა ძალიან დიდი თავდადებულობაც გამოიჩინა. რაც შეეხება კონკრეტულად იმ წერილს, რომელზეც თქვენ ახსენეთ, მე გამაცნეს ეს წერილი უშიშროების წევრებმა. ეს წერილი იყო გამოგზავნილი .....

თავმჯდომარე. დააზუსტეთ, რომელი უშიშროების წევრებმა, თუ საბჭოა თუ რაზეა საუბარი.

ე.შარაშიძე. ბატონო?

თავმჯდომარე. დააზუსტეთ, რომელი უშიშროების წევრებმა. სამინისტროზეა საუბარი თუ საბჭოზე.

ე.შარაშიძე. არა. არის საუბარი, პრემიერ–მინისტრი მესაუბრა ამ წერილთან დაკავშირებით.

თავმჯდომარე. დიახ.

ე.შარაშიძე. ეს იყო საომარი პერიოდის შემდეგ გამოგზავნილი წერილი და ეხებოდა ერთ–ერთ, ჩემთვის როგორც არის ცნობილი, ეხებოდა ენერგოსფეროში ერთ–ერთ გარიგებას.

თავმჯდომარე. .... კიდევ ერთხელ დავაზუსტებ იმიტომ, რომ იცით ღია ეთერში გადაიცემა. წერილი იყო თქვენს სახელზე, როგორც საუბრობს ბატონი გელა, ბეჟუაშვილი. და თქვენ საუბრობთ, რომ წერილი იყო პრემიერ–მინისტრის სახელზე?

ე.შარაშიძე. ჩვენ, როგორც ბატონმა გელამ ახსენა, მე მგონი, მან გააგზავნა ეს წერილი უშიშროების საბჭოში.

თავმჯდომარე. არა. ეს წერილი გამოგზავნილია თქვენს სახელზე.

ე.შარაშიძე. და ასევე ....

თავმჯდომარე. მე ვსაუბრობ იმ ინფორმაციით, რაც მე მივიღე.

ე.შარაშიძე. დიახ.

თავმჯდომარე. მე არ ვიცი ეხლა სხვა ინფორმაცია. აქ ის წერს, რომ გამოგიგზავნათ თქვენ.

ე.შარაშიძე. კონკრეტულად წერილი ეკონომიკის სამინისტროში არ შემოსულა, მაგრამ ამ წერილის თაობაზე მე გამაცნო, ამ წერილის შინაარსი გამაცნო პრემიერ–მინისტრმა.

თავმჯდომარე. ესე იგი, წერილი იყო პრემიერ–მინისტრის სახელზე?

ე.შარაშიძე. არ ვიცი. მბრძანებელი იყო პრემიერ–მინისტრი.

თავმჯდომარე. თქვენ თუ შინაარსს გაეცანით, წერილი ვის სახელზე იყო?

ე.შარაშიძე. მე წერილის შინაარსს არ გავცნობივარ პირადად იმიტომ, რომ წერილი არ იყო გამოგზავნილი ჩვენთვის ეკონომიკის სამინისტროზე არ ყოფილა, წერილი არ შემოსულა ეკონომიკის სამინისტროში. ხოლო ის, რაც ეხებოდა შინაარსს, ეს არ ეხებოდა არანაირ პრივატიზებას. შესაბამისად, ჩვენს სფეროსაც არ ეხებოდა და, მე

როგორც ვიცი, ენერგეტიკის სამინისტრომ ეს იგულისხმა თავიანთ მოქმედებებში.

თავმჯდომარე. ქალბატონო ეკატერინე, მე წერილში ....არ ვსაუბრობ, სწორად გამიგეთ ახლა, ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ახლა, ნუ ფიქრობთ, რომ რაღაც სხვა მიმართულებით მიდის საუბარი. მე მინდა ცალსახად დააფიქსიროთ. თქვენ თქვითთ რამოდენიმე წუთის უკან, რომ თქვენ მოლაპარაკება...მე მომიწევს ისევ ყოფილი პრემიერ-მინისტრის დაბარება მაშინ. თქვენ თქვით, რომ პრემიერ-მინისტრი გელაპარაკათ წერილთან დაკავშირებით. მერე თქვენ საუბრობთ, რომ წერილი თქვენ არ გინახიათ. რა წერილზეა საუბარი და რა კომპანიაზე. მაშინ ჩვენ გამოვითხოვთ ამ წერილს დაზვერვის დეპარტამენტიდან.

ე.შარაშიძე. კი ბატონო. ზუსტად რომ მოგცეთ ინფორმაცია, ე.ი. ეკონომიკის სამინისტროში არ შემოსულა არანაირ კომპანიასთან დაკავშირებით, აი ამაზე შემიძლია დაგიდასტუროთ. ხოლო რაც შეეხება ჩემს საუბარს პრემიერ-მინისტრთან, იყო საუბარი, პრემიერ-მინისტრმა, უბრალოდ, საგულისხმოდ მითხრა, რომ ასეთი ცნობა იყო შემოსული. თუ რა იყო კონკრეტულად ამ წერილში, მე არა ვარ უშიშროების საბჭოს წევრი, შესაბამისად, მე დეტალურად ვერ გეტყვით.

თავმჯდომარე. ე.ი. თქვენ ამ კომპანიის ...არაფერი არ იცით.

ე.შარაშიძე. მე ამ წერილის შესახებ, რა იყო სავარაუდოდ ამ წერილის...

თავმჯდომარე. წერილი თუ არ იცით, კომპანია არ გეცოდინებათ, იმიტომ გისვამთ ამ კითხვას.

ე.შარაშიძე. დიახ, მე, უბრალოდ, ვიცი, რომ ეს იყო ენერგოსექტორზე საუბარი და იყო საუბარი ჩვენს ერთ-ერთ მეზობელთან , ენერგეტიკულ სექტორთან...

თავმჯდომარე. ეს იცით პრემიერ-მინისტრისაგან?

ე.შარაშიძე. დიახ.

თავმჯდომარე. კარგით. დიდი მადლობა. სხვა საკითხები.

გ.გაბაშვილი. კიდევ ერთხელ რომ დავაზუსტოთ. ანუ ქალბატონო ეკა, თქვენ პრემიერ-მინისტრმა, როგორც უშიშროების საბჭოს წევრმა სიტყვიერად გითხრათ იმის შესახებ, რომ არის დაზვერვიდან გარკვეული ცნობები რაღაც სექტორში რაღაც ინტერესების შესახებ და თქვენ დეტალები არ იცით, ასე გამოდის, და წერილი თქვენს სახელზე არ შემოსულა.

ე.შარაშიძე. დიახ, მე შემიძლია დავაზუსტო, რომ წერილი ჩემს სახელზე არ შემოსულა. პრემიერ-მინისტრმა მითხრა, რომ, არ მახსოვს, ეს ზუსტად იყო ნათქვამი, რომ დაზვერვიდან იყო თუ არა, დეტალები კონკრეტულად არ მახსოვს. უბრალოდ, იყო საუბარი, რომ შესაძლო საკითხზე იყო ამ სფეროში.

გ.გაბაშვილი. გასაგებია. და მეზობელ ქვეყანას როცა ამბობთ, შეგიძლიათ ღია სხდომაზე გვითხრათ, რომელი მეზობელი ქვეყნის ინტერესებზეა ლაპარაკი?

ე.შარაშიძე. არა, მე როგორც ვიცი, მეზობელი ქვეყნის ინტერესებზე არ იყო საუბარი. იყო საუბარი, რომ ენერგოგარიგებაზე ერთ-ერთ ქვეყანაში, მეზობელ ქვეყანაში.

გ.გაბაშვილი. გასაგებია.

თავმჯდომარე. მე კიდევ ერთხელ დავუბრუნდები ამ საკითხს. შეკითხვები თქვენ მიმართულებით მე იმიტომ დავსვი ეს საკითხები, რომ დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ღია სხდომაზე თქვა. ჩავიკითხე ეს ჩვენებები. იმ პასუხიდან, რა პასუხიც მივიღე თქვენი მხრიდან, პირდაპირ, მე არ მინდა, ახლა კვალიფიკაცია მივცე გარკვეულ ქმედებებს, ეს არის ძალიან სერიოზული შესაწავლის საგანი და აუცილებლად კომისია გამოითხოვს ამ მასალებს და მე არ გამოვრიცხავ, რომ ჩვენ მოგვიწევს ისევ რამოდენიმე თანამდებობის პირის დაბარება იმიტომ, რომ ის, რაც მე ახლა მოვისმინე, ეს ხდება სერიოზული გამოძიების საკითხი. თუ არის რამე კითხვები. დიტო, დასვით.

დ.ლორთქიფანიძე. თქვენ არ გაეცით ჩემს კითხვას პასუხი ქალბატონო ეკატერინე, შემიძლია შეგახსენოთ. საკითხი ეხებოდა საგანგებო სიტუაციათა მართვის სამთავრობო კომისიაში თქვენ როლს. თქვენს

როგორც ეკონომიკის მინისტრის როლს, არის თუ არა თქვეთვის ცნობილი ასეთი კომისიის შესახებ და კონკრეტულად თქვენი როლის შესახებ მინდოდა რომ დამესვა შეკითხვა.

ე.შარაშიძე. დიახ, ჩემთვის არის ცნობილი ამ კომისიის, ჩემთვის ცნობილია ეს კომისია და მე როდესაც ვთქვი, რომ ეკონომიკის მინისტრის როლი რომ ვახსენე საგანგებო სიტუაციის დროს, მე ზუსტად მაგ კითხვაზე გპასუხობდით და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ეკონომიკის მინისტრის ვალდებულება ამ კომისიის მიხედვით ამ ჯგუფის ვალდებულებების მიხედვით არის ის, რომ თვალ–ყური ადევნოს ეკონომიკურ სიტუაციას და ეკონომიკურ მდგრადობას, ეს ეხება როგორც ფასებს, ისე ფინანსურ სექტორს და ა.შ. ამავდროულად განახორციელოს ზედამხედველობა ინფრასტრუქტურაზე და ყველა იმ ობიექტზე, იმისთვის, რომ შეუფერხებლად მოხდეს ინფრაქტრუქტურის მუშაობა და ამავდროულად ყველანაირი ტრანზიტული და ლოჯისტიკური მიმოსვლა.

_____ ისევ ამ საკითხის კონტექსტში მინდა გავაგრძელო ჩემი შეკითხვები, ამ შემთხვევაში მე მაინტერესებს, გაგაჩნიათ თუ არა მონაცემები რამდენი წარმოება დაწესებულება აგრძელებს საომარი მდგომარეობის პირობებში ქალაქში თავის ფუნქციის შეასრულებას და როგორი იქნებოდა მათი მომარაგების საკითხები საომარ პირობებში? ანუ თქვენ ახსენეთ ეკონომიკის მდგრადობასთან დაკავშირებით, ხომ? მე მინდა შეგეკითხოთ, არის თუ არა ეს გამყარებული რაიმე ნორმატიული აქტებით, მე ვგულისხმობ მინისტრის ბრძანებებს, ან რეალური კონცეფციით, თქვენ ახსენეთ და სრულიად სამართლიანად და გეთანხმებით, ნამდვილად საქართველოს ეკონომიკამ გაუძლო, გაუძლო ამ აგრესიას, მაგრამ მაშინ გეკითხებით, რომ რამდენად გამყარებულია აღნიშნული მდგრადობის განვითარება თქვენ მიერ გამოცემულ ნორმატიული აქტებით ან კონცეფციით? არსებობს თუ არა ასეთი კონცეფცია, საგანგებო სიტუაციაში მოქმედების კონცეფცია, ანუ როგორ შევინარჩუნოთ ეკონომიკური მდგრადობა საომარ ვითარებაში?

ე.შარაშიძე. დიახ. ე.ი. რაც შემიძლია გითხრათ, რომ ასეთი კონცეფცია, რომელიც იყო განხილული პრემიერ–მინისტრთან ერთად და რომელიც იყო მუშა პროცესში, ითვალისწინებდა იმას, რომ ჩვენ ე.ი. იქ იყო დეტალური ახსნა, რა უნდა გაგვეკეთებინა. მაგალითად ის, რომ ასეთი ვითარების დროს სტრატეგიული ობიექტები ახდენდნენ საათობრივ, ვთქვათ, დეტალურად გიყვებით ამ ერთ–ერთ მაგალითს გაძლევთ, რომ აი, მაგალითად, ფოთის პორტი და ყველა ნავსადგური ფოთის, ბათუმის პორტი, ასეთი ვითარების ყოველ საათში წარმოადგენდა ინფორმაციას, მაგალითად იმისთვის, რომ აეროპორტს თბილისის და ბათუმის აეროპორტს წარმოედგინა, რომელი თვითფრინავი ახდენდა, რომელი განახორციელებდა რომელ ფრენებს. მაგალითად იმისთვის, რომ რომელი სატვირთო ავტომობილები ახდენდნენ რამდენ გადაზიდვას დღეში და ა. შ. ანუ, ერთის მხრივ, ე. ი. კონცეფციაში, ასე დავარქვათ, გეგმაში იყო ის, რომ რაიმე ზიანი ან რაიმე შეფერხება თუ ხდებოდა ლოჯისტიკისთვის და ინფრასტრუქტურისთვის, ამაზე ვიყავით ჩვენ პასუხისმგებელი. მეორეს მხრივ, მიწოდება დეტალური ინფორმაციის სხვა მთავრობის წევრებისთვის, თუ რა ხდებოდა ლოჯისტიკურად. ამავე დროს, მინდა დავამატო, რომ რაც იყო მნიშვნელოვანი, იყო მარაგები, ეს იყო როგორც მარაგები, ვთქვათ, დიზელის, ნავთობის, სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქტების, ასევე მოხმარების პროდუქტების და ჩვენ ამ ინფორმაციასაც ვაწვდიდით დაახლოებით დღეში სამჯერ–ოთხჯერ.

გ.ლორთქიფანიძე. მოგესალმებით. მინდა ერთი შეკითხვა მარაგებთან დაკავშირებით, ქალბატონო ეკატერინე, მარაგები ახსენეთ თქვენ და აი ეს, თქვენ გულისხმობთ სტრატეგიულ მარაგებს? ანუ მატერიალურ–ტექნიკურ რეზერვებს გულისხმობთ ამ შემთხვევაში? ექვემდებარება თუ არა
თქვენგან რწმუნებულ სამინისტროს სახელმწიფო რეზერვების დეპარტამენტი? ადრე იყო ესეთი პრაქტიკა, რამდენადაც მე მახსოვს, ანუ ფლობთ თუ არა ინფორმაციას სტრატეგიულ რეზერვებთან დაკავშირებით?

ე.შარაშიძე. დიახ, ე. ი. სტრატეგიულ რეზერვებთან დაკავშირებით, ჩვენ ასეთი დეპარტამენტი არ გაგვაჩნია და არ გვექვემდებარება, თუმცა ჩვენ ვფლობთ ასეთ ინფორმაციას. ბაზარზე არსებული კერძო კომპანიების მარაგებიდან არსებული ინფორმაცია, რომელიც ჩვენ გვაქვს და გვქონდა ომის დროს.

თავმჯდომარე. ქალბატონო ეკატერინე, თუ არ ვცდები, დებულებიდან გამომდინარე ეგ დეპარტამენტი, შეიძლება სხვა სახის ცვლილებებით სამინისტროს სტრუქტურაში არ შედის?

ე.შარაშიძე. არა.

თავმჯდომარე. არა ხო, გმადლობთ. შეკითხვები არის კიდევ? ბატონო დიმიტრი, თქვენ გაქვთ შეკითხვები?

ე.შარაშიძე. მე ვიცი, რომ თქვენ გაინტერესებდათ კიდევ ან თუ გაინტერესებთ, შემიძლია უფრო დეტალურად გითხრათ ზიანთან დაკავშირებით, რაც იყო დათვლილი ჩვენს მიერ. პირდაპირი და

ადაპირდაპირი ზიანი, როგორც იცით, იყო დაახლოებით, მილიარდ,. . .

თავმჯდომარე. პრემიერ–მინისტრმა ჩვენ გაგვცა ამ საკითხთან დაკავშირებით და ძალიან მნიშვნელოვანია. მე მინდა, კიდევ ერთხელ, ხაზი გავუსვა იმას, რომ თქვენთან, თუ არ ვცდები, თქვენი მოადგილეც ბრძანდება თქვენს გვერდით. ჩვენ მივიღეთ ახალი განმარტება და მინდა ცალსახად ხაზი გავუსვა, რომ დაზვერვის და სასაზღვრო დაცვის სამინისტრომ გამოგვიგზავნა ის მასალები, რაც შეეხებოდა საზღვრის გადაკვეთას და რაც ჩვენ გამოვაქვეყნეთ ის სია და გამოვაქვეყნეთ იმიტომ, რომ ოფიციალურად მივიღეთ ეს წერილი და იქ მითითებული იყო თანამდებობის პირები და პოლიტიკური თანამდებობის პირები. ამ სიაში აღმოჩნდა თქვენი მოადგილე, შემდეგ იმ ახსნა–განმარტების საფუძველზე, რომელიც ჩვენ მივიღეთ, ცალსახად ჩანს, რომ თქვენი მოადგილე იმყოფებოდა თბილისში და არის საზღვრის დაცვის დეპარტამენტის შეცდომა სიასთან დაკავშირებით და აქედან გამომდინარე, საზოგადოებისათვის რომ ცნობილი იყოს, რომ არანაირი, ქალბატონ კოვზირიძეს არ დაუტოვებია საქართველოს ტერიტორია. აქ სხვა კოვზირიძეზეა საუბარი და ეს ახსნა–განმარტებით მასალებში იქნება ასახული.

რაც შეეხება იმ ინფორმაციას, რაც ჩვენ დღეს მივიღეთ ამ კომპანიებთან დაკავშირებით, მე კიდევ ერთხელ მინდა დავაფიქსირო, აქ იკვეთება სერიოზული ნიშნები, რაც არის პირდაპირი, უნდა ითქვას, არ მინდა კვალიფიკაცია მივცე, აქედან გამომდინარე მე მინდა ვთქვა, რომ კომისია არ არის საგამომძიებლო კომისია, ჩვენ არ გვაქვს გამოძიების უფლება, ამიტომ მე დასკვნებში, ცალსახად მინდა ხაზი გავუსვა, ამ კომპანიის მუშაობასთან დაკავშირებით აუცილებლად დავაყენებ საკითხს, რომ მასალები გადაიგზავნოს და ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ დაიწყოს გამოძიება იმიტომ, რომ აუცილებლად საჭიროა ამ საკითხების გამორკვევა. მეტი შეკითხვები კომისიას არა აქვს და დიდი მადლობა მინდა მოგახსენოთ მობრძანებისათვის და იმედია, რომ თუ კიდევ გაგვიჩნდა ჩვენ რაიმე შეკითხვები, აუცილებლად თქვენ გაგვცემთ პასუხს.

ე.შარაშიძე. დიდი მადლობა.